საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/11

ქ.თბილისი

„18" აპრილი 2016 წ

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისა და შესაბამისი წინადადებების მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისა და შესაბამისი წინადადებების მომზადების მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

   ა) რატი სხირტლაძე - ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი, ჯგუფის ხელმძღვანელი;
   ბ) სერგო შავგულიძე - რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი, ჯგუფის წევრი;
   გ) ირინა ვერძეული - სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ჯგუფის წევრი;
   გ) მარიკა სულაბერიძე - სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;
   დ) არჩილ მაკარიძე - ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის არასაშტატო სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;
   ე) ზაზა გონჯილაშვილი - რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;
   ვ) თამარ ხუხუნაიშვილი - სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი.

2. სამუშაო ჯგუფმა:

   ა) შეისწავლოს რადიოსიხშირული სპექტრის ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;

ბ) მოამზადოს „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის“ დებულებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი;

გ) მოამზადოს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით შესაბამისი წინადადებები.

3. ამ ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 31 დეკემბერი;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N 6) ერთი თვის ვადაში.

6. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს რატი სხირტლაძეს

კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე**